საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 01/02-10/19926
19/08/2014

19926-01/02-10-2-201408191814

შპს „NBG"-ის დირექტორს
ბატონ ნუგზარ ენდელაძეს

ბატონო ნუგზარ,

გაცნობეთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და შპს „NBG"-ის შორის ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების არასრულად შესრულების გამო, სამინისტროს სატენდერო კომისიამ გადაწყვიტა:

1. ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი N14-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ყოფილი საავადმყოფოს შენობა) სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე 2014 წლის 6 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება N5085/17-ის შესაბამისად, სამუშაოს მიწოდების ბოლო ვადად განსაზღვრული იყო 2014 წლის 3 აგვისტო. ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, რომელიც შეადგენდა 1,100,000 ლარს, დღეისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შესრულებულია 819,962.09 ლარის სამუშაო, ვერ შეასრულეთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება 280,037.91 ლარის ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე 2014 წლის 26 აგვისტოდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წყვეტს ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას.

ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.2. პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებით დადგენილი სამუშაოს მოწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში გეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით თანხით - 88,000 ლარი (1,100,000 X 0,5% X 16 დღე), ხოლო ამავე მუხლის 8.3. პუნქტის შესაბამისად, სამუშაოების ნაწილობრივ შეუსრულებლობისას გეკისრებათ ჯარიმა შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 100%-ის ოდენობით თანხით - 280,037.91 ლარი. სულ 368,037.91 ლარი.

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის სამხედრო დასახლებაში განლაგებული ორი კორპუსის (N2 და N3) სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე 2013 წლის 08 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება N5085/78-ის შესაბამისად, სამუშაოს მიწოდების ბოლო ვადად განსაზღვრული იყო 2014 წლის 3 ივნისი. ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, რომელიც შეადგენდა 2,640,000 ლარს, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ფარგლებში (2014 წლის 3 ივლისი) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შესრულებულია 1,017,060.58 ლარის სამუშაო, ვერ შეასრულეთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება 1,622,939,42 ლარის ფარგლებში.

ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.5. პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებით დადგენილი სამუშაოს მოწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში გეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 0,25 %-ის ოდენობით თანხით - 508,200 ლარი (2,640,000 X 0,25% X 77 დღე), ხოლო ამავე მუხლის 13.6. პუნქტის შესაბამისად, სამუშაოების ნაწილობრივ შეუსრულებლობისას გეკისრებათ ჯარიმა შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 100%-ის ოდენობით თანხით - 1,622,939.42 ლარი. სულ 2,131,139.42 ლარი.

3. ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე 2013 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება N5085/91-ის შესაბამისად, სამუშაოს მიწოდების ბოლო ვადად განსაზღვრული იყო 2014 წლის 27 აპრილი. ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, რომელიც შეადგენდა 1,174, 764.00 ლარს, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ფარგლებში (2014 წლის 31 მაისი) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შესრულებულია 851,501.42 ლარის სამუშაო, ვერ შეასრულეთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება 323,262.58 ლარის ფარგლებში.

ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.5. პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებით დადგენილი სამუშაოს მოწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში გეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სამუშაოს საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით თანხით - 133,923.10 ლარი (1,174,764 X 0.1% X 114 დღე), ხოლო ამავე მუხლის 14.6. პუნქტის შესაბამისად, სამუშაოების ნაწილობრივ შეუსრულებლობისას გეკისრებათ ჯარიმა შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 100%-ის ოდენობით თანხით 323,262.58 ლარი. სულ 457,185.68 ლარი.

გარდა ამისა დაგეკისრებათ სამინისტროსათვის მიყენებული ზარალი, რომელიც განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემოხსენებულ ობიექტებზე შეუსრულებელი სამუშაოების მოცულობისა და მისი ღირებულების დადგენის მიზნით ჩასატარებელი ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებით (აღნიშნულის თაობაზე გეცნობებათ დამატებით).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა უზრუნველყოთ დარიცხული ჯარიმებისა და პირგასამტეხლოების გადარიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგ ანგარიშზე;

მიმღები დასახელება – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი – 200037646

მიმღების ბანკი – ქ. თბილისი „ სახელმწიფო ხაზინა“

მიმღების ბანკის კოდი – TRESGE22

ხაზინის ერთიანი ანგარიში – GE24NB0330100200165022

შემოსავლის სახაზინო კოდი – 302003287

შინაარსი (დანიშნულებაში ჩასაწერი) – შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო; ხელშეკრულებები: **N5085/17 06.03.2014წ. N5085/78 08.10.2013წ. N5085/91 18.11.2013წ.**

ასევე თქვენი ორგანიზაციის, მიერ უნდა დაბრუნდეს სამინისტროს მიერ ავანსად გადმორიცხული თანხებიდან თქვენი ორგანიზაციის მიერ წარმოუდგენელი და შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულება, კერძოდ: 2013 წლის 18 ნოემბერს გაფორმებულ N 5085/91 ხელშეკრულების შესაბამისად წინასწარ გადმოგერიცხათ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება - 1 174 764 ლარი, საიდანაც დაბრუნებას ექვემდებარება 323,262.58 ლარი.

ამასთან დაკავშირებით გთხოვთ არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა უზრუნველყოთ 2013 წელს ავანსად გადარიცხული თანხიდან შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 323,262.58 ლარის, გადარიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგ ანგარიშზე;

მიმღების დასახელება – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი – 200037646

მიმღების ბანკი – ქ. თბილისი „ სახელმწიფო ხაზინა“

მიმღების ბანკის კოდი – TRESGE22

ხაზინის ერთიანი ანგარიში – GE24NB0330100200165022

შემოსავლის სახაზინო კოდი – 302003460

შინაარსი (დანიშნულებაში ჩასაწერი) – წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები, **ხელშეკრულება #5085/91 18.11.2013წ; ვალდებულება - #310**, საბიუჯ. ეკონომ. კლასიფიკაციის კოდი - **2822**, **საგადახდო მოთხოვნა - #2522**.

ასევე თქვენს ორგანიზაციას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სამუშაოების მიწოდების ვადების ამოწურვიდან, ზემოხსენებული სანქციებით გათვალისწინებული თანხების შემსყიდველისათვის სრულად ანაზღაურებამდე.

აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში სამინისტრო იტოვებს უფლებას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

პატივისცემით

გრიგოლ გიორგაძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა